



ა კ ა ლ ე ც ი ს

# ე ნ გ მ ე ბ ე ბ ი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქა. შიომუხრავის 10-ისა - რეზ. საქართველოს  
სამართლებრივი და სამსახურის მინისტრი



№6, მარტი, 2018



## ირაკლი კოვზანაძე

საქართველოს პარლამენტის  
საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის  
თავმჯდომარე

ჩვენ გვიჩვენებთ  
გლობალური ხედვა,  
არარეალული მიღებოვა  
და ფულდამატალური  
ცვლილებები

ეკონომიკის სფეროში არსებულ ვითარებასა და ეკონომიკურ პერსპექტივებზე „ინტერპრეს-ნიუსი“ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს, ირაკლი კოვზანაძეს ესაუბრა.

- ბატონოირაკლი, ვიდრექვეყნის ეკონომიკურ პერსპექტივებზე და დღევანდელ მდგომარეობაზე ვისაუბრებთ, იქნებ საუბარი იმით დაგვეწყო თუ როგორი იყო 2017 წელი საქართველოს ეკონომიკისათვის? რა ეკონომიკური მიწვევები და გამოწვევები ჰქონდა გასულ წელს ქვეყანას?

- შეიძლება ითქვას რომ, საქართველომ 2017 წელი არც თუ ურიგო ეკონომიკური შედეგებით დაასრულა. მოდით გადავხედოთ მონაცემებს:

- მშპ-ს რეალური ზრდა, თავდაპირველი გეგმით გათვალისწინებული 4%-ის ნაცვლად, ნინასწარი მონაცემებით 4.8% გვაქვს;
- მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 12%-დან 7%-მდე შემცირდა;

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი კოვზანაძის ინტერვიუმ ინტერპრესნიუსის წარმომადგენელ კობა ბენდელიანთან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ცხოველი ყურადღება მიიქცია. აქედან გამომდინარე, გადაწყდა მისი გადმობეჭდვა აკადემიის გამოცემა უწყებებში.

- ტურიზმი გაიზარდა 28%-ით;
- ექსპორტი გაიზარდა 29%-ით;
- ბიუჯეტის დეფიციტი შემცირდა მშპ-ს 3%-მდე;

• სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა შესრულებულია 101%-ით (131 მლნ. ლარის გადაჭარბებით), მათ შორის, საგადასახადო შემოსავლების გეგმა შესრულებულია 100.1%-ით (11.3 მლნ. ლარის გადაჭარბებით);

• ბიუჯეტის გადასახდელების გეგმა შესრულებულია 100%-ით

ცუდი შედეგები ნამდვილად არაა, თუმცა მმართველ გუნდს მთლიანობაში ამ მიმართულებით მეტი ამბიცია გვაქვს.

ძირითადი პრობლემა, რაც ჩვენს ეკონომიკას 2017 წლის მანძილზე ახასიათებდა, იყო ინფლაცია, 6.7%, ნაცვლად გეგმიური 4%-ისა, და ლარის კურსი, რომელიც წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი რყევებით ხასიათდებოდა.

ასევე სერიოზული პრობლემაა უმტკიცერობის დონე, მოსახლეობის შემოსავლების სიმწირე და ეკონომიკის მაღალი დოლარიზაცია. მერნმუნეთ, რომ არა დოლარიზაციის ასეთი მაღალი დონე, საქართველოს მოსახლეობისათვის ლარის დევალვაციაც არ იქნებოდა ასეთი მტკიცნეული.

- თქვენ როგორც პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე 2017 წლის განმავლობაში განხორციელებული რეფორმებიდან რომელს გამოყოფილ?

- ეკონომიკური რეფორმების თვალსაზრისით 2017 წელი

მნიშვნელოვანი იყო რამოდენიმე მიმართულებით.

• მოგების გადავადებული გადასახადი, ანუ ე.ნ. „ესტონური მოდელი“ – ხელისუფლების მიერ ინიცირებული ეს რეფორმა ბიზნესის ხელშეწყობას და სტიმულირებას ემსახურება. მან უკვე გამოიღო შედეგი, სამი კვარტლის მონაცემებით (წლის მონაცემები ჯერ არ გვაქვს) პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეინვესტირების კომპონენტში ზრდა დაახლოებით 500 მლნ. ლარს შეადგენს. თუმცა ეს არ არის საბოლოო შედეგი, რეფორმის ეფექტი და სიკეთე სრულად რომ დავინახოთ, კიდევ დაახლოებით 2 წელი იქნება საჭირო.

• დეპოზიტების დაზღვევის სისტემა – მინდა ავლინიშნო, რომ დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შემოღების ინიციატივით მე ჯერ კიდევ 2005-2006 წლებში გამოვდიოდი, მაგრამ სამწუხაროდ, იმ ეტაპზე კანონპროექტი სუბიექტური მიზეზების გამო არ იქნა მხარდაჭერილი. 2017 წლისათვის საქართველო ერთადერთი ქვეყანა იყო აღმოსავლეთ ევროპასა და მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეში, რო-

### შინაარსი:

ირაკლი კოვზანაძე – ინტერვიუ ზურაბ აბაშიძე – ქართული ენციკლოპედია  
აკადემიის სტუმრები – აკადემიის სტუმრარი დადი ბრიტანეთიდან  
ამგლარნი – კალისტრატე სალია ნინო სალია ურნალი – „ბედი ქართლისა“

მელსაც დეპოზიტების დაზღვევა არ გააჩნდა. 2018 წლიდან ეს სისტემა ჩვენთანაც ამოქმედდა, თუმცა თავის დროზე რომ მომხდარიყო მისი იმპლემენტაცია, დღეს დაზღვეული გვექნებოდა არა მხოლოდ 5 000 ლარამდე დეპოზიტები, არამედ ეს ნიშნული გაცილებით მაღალი იქნებოდა. დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, ერთის მხრივ, უზრუნველყოფს მეანაბრეთა დანაზოგების უსაფრთხოებას, მეორეს მხრივ კი უზრუნველყოფს ბანკების მიმართ ნდობას, იცავს მათ რყევებისაგან და ზრდის საბანკო სექტორის (და შესაბამისად მთლიანად საფინანსო სისტემის) სტაბილურობას, აქედან გამომდინარე ეკონომიკური ეფექტებით. მე არაერთხელ მითქვამს, რომ ადექვატური ფულად-საკრედიტო (მონეტარული) პოლიტიკა, მკაცრი საბანკო ზედამხედველობა და ქმედითი დეპოზიტების დაზღვევის სისტემა საფინანსო სექტორის მდგრადობის სამი უმნიშვნელოვანესი მდგენელია.

- სადაზღვევო ბაზარი – ამ მიმართულებითაც გარკვეული ნაბიჯები იქნა გადადგმული როგორც დაზღვევის ზედამხედველობის სახელმწიფო სამსახურის გაძლიერების, ასევე სავალდებულო დაზღვევის რიგი მიმართულებების ამოქმედების კუთხით (მაგალითად, უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალებების მფლობელების, ასევე მასობრივი თავშეყრის ობიექტების მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის საგალდებულო დაზღვევა). მსგავსი მიმართულებები მნიშვნელოვანია როგორც სადაზღვევო ბაზრის განვითარების, ასევე რისკების მინიმიზაციის და გრძელვადიანი საინკუსტიციო რესურსების შექმნის მიმართულებით. ეს მიმართულებება რეალურად ეხლა იწყებს განვითარებას.

- საბანკო და არასაბანკო საკრედიტო სისტემის ზედამხედველობის გამკაცრება – საზოგა-

დოებაში წლებია გამოითქმებოდა უკმაყოფილებები კომერციულ ბანკების მიერ არაპროფილური აქტივების ფლობის, ე.წ. „საბანკო ჰოლდინგების“ საქმიანობის და „პირამიდის“ პრინციპით მომუშავე სხვადასხვა კომპანიების კუთხით. 2017 წლის ბოლოს საქართველოს ეროვნულ ბანკს საკანონმდებლო დონეზე, უშუალოდ კომერციული ბანკების ზედამხედველობის გარდა, მიეცა სრული უფლებამოსილება კიდევ სამი მიმართულებით, ე.წ. „საბანკო ჰოლდინგების“ (მ.შ. მენეჯმენტის გადაწყვეტილებების ეფექტიანობის), ფინანსური ჯგუფების და არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებების რეგულირება-ზედამხედველობის კუთხით. სებ-ს მიეცა ყველა ბერკეტები და დაეკისრა სრული პასუხისმგებლობა ამ სფეროში წესრიგის დასამყარებლად და ეს პროცესი უკვე დაიწყო.

- კაპიტალის ბაზარი – კაპიტალის ბაზრის რეფორმის, უფრო სწორედ კი კაპიტალის ბაზრის ფორმირების მიმართულებით ძირითადი ღონისძიებები 2018 წლის განმავლობაში უნდა განხორციელდეს, თუმცა გასულ 2017 წელს საქართველოს მთავრობის ინიციატივით პარლამენტმა ნილობრივი (ანუ აქციები) და სასესხო (ანუ სახაზინო ვალდებულებები და სახელმწიფო თუ კორპორატიული ობლიგაციები) ფასიან ქაღალდებით მიღებული შემოსავლები გაათავისუფლად დაბეჭვისაგან. ამ ცვლილებით მოხდა ფასიანი ქაღალდების დაბეჭვის რეჟიმის გათანაბრება საბანკო დეპოზიტთან, რაც ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების გზაზე წინ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

- მიუხედავად იმ შედეგებისა, რაზეც თქვენ ისაუბრეთ, საქართველოს მოსახლეობა საკუთარ თავზე, ჯიბეზე ვერ გრძნობს უკეთესობას. რისი პრალია ეს? რატომ არ აისახება მოსახლეობის ყოფაზე სტატისტიკურად პოზიტიური ეს შედეგები?

– ეკონომიკური ზრდა მიზანია იმდენად, რამდენადაც მისი შედეგები უნდა აისახოს საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობაზე. ანუ ჩვენი მიზანი ინკლუზიური ზრდაა. აღნიშნულს გარკვეული დრო სჭირდება. თუმცა არის კონკრეტული ფაქტორები რის გამოც არსებული ეკონომიკური ზრდა პირდაპირ, მყისიერ და ადექვატურ ასახვას ვერ პოულობს ჩვენი თანამოქალაქეების შემოსავლებზე.

ერთია, რომ ჩვენ გვჭირდება კიდევ უფრო მეტი ეკონომიკური ზრდა, მაგრამ ამასთანავე მნიშვნელოვანი ნეგატიური ფაქტორი საქართველოს ეკონომიკის მაღალი დოლარიზაციაა. მიუხედავად იმისა რომ ბოლო წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობის და ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად, დოლარიზაციის მაჩვენებელი შემცირდა, იგი მაინც მაღალი რჩება (2017 წლის განმავლობაში დეპოზიტების დოლარიზაცია შემცირდა 71%-დან 66%-მდე, სესხების დოლარიზაცია კი – 65%-დან 57%-მდე).

აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ფიზიკურ პირების სესხების დაახლოებით ნახევარი უცხოურ ვალუტაშია, შემოსავალი კი აქვთ ლარში. ეს ნიშნავს რომ ბოლო წლების განმავლობაში ლარის დაახლოებით 70%-იანი დევალვაციის პირობებში მათ სესხების მომსახურეობის ხარჯი 70%-ით გაეზარდათ.

მაგალითად, თუ პიროვნებას აქვს 1 700 ლარი შემოსავალი და აქვს სესხი უცხოურ ვალუტაში, ვთქვათ აშშ დოლარში, რომლის მომსახურეობაც მას ყოველთვიურად 500 დოლარი უჯდება, ამ 500 აშშ დოლარის შესაძენად მას დევალვაციამდე სჭირდებოდა 850 ლარი, დარჩენილ 850 ლარს კი საკუთარი საჭიროებებისათვის ხარჯავდა. დევალვაციის შემდეგ მისი შემოსავალი ლარში უცვლელი დარჩა, ხოლო იგივე სესხის ყოველთვიური 500 დოლარით მომსახურება მას უკვე 1 300 ლარის ფარგლებში უჯდება.

მას არ შეუძლია სესხს არ მოემსახუროს, იპოთეკაში აქვს ბინა, უძრავი ქონება ან რაიმე სხვა აქტივი. შესაბამისად, იძულებულია შეამციროს საკუთარი მოხმარება, ანუ ხარჯები კვებაზე, ტანსაცმელზე, სხვა საყოფაცხოვრებო საჭიროებებზე, გართობაზე და ა.შ. რაც, ბუნებრივია, მძიმე ტვირთად აწვება მას. მეორე მხრივ კი ეს მთლიანობაში ამცირებს გადახდისუნარიან მოთხოვნას და ნეგატიურად მოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე.

**- რა ძირითადი პრიორიტეტები აქვს სახელმწიფოს 2018 წელს საფინანსო-ეკონომიკური კუთხით და რა გამოწვევებთან შეიძლება გვქონდეს საქმე 2018 წელს?**

მმართველი გუნდის და მთავრობის პრიორიტეტები ეკონომიკური კუთხით რამდენიმე მიმართულებით შეიძლება და-ვაჯგუფოთ:

- სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურული განვითარების და ბიზნესის სტიმულირების მიმართულებით 2018 წელს სახელმწიფო დახარჯავს დაახლოებით 4 მლრდ. ლარს. ეს ნიშნავს არა მხოლოდ გაუმჯობესებულ ინრასტრუქტურას და ქალაქება და რეგიონებს შორის განსახვავების აღმოფხვრას, არამედ რამდენიმე ათეულ ათას დამატებით სამუშაო ადგილს და ეკონომიკური ზრდის დაჩქარების ხელსაწყობას.

- საპენსიო რეფორმა - „დაგროვებითი პენსიის“ შემოღება საქართველოში გათვალისწინებულია 2018 წლის მესამე კვარტლიდან და იგი ითვალისწინებს დასაქმებულის, დამსაქმებლის და სახელმწიფოს მონაწილეობას საპენსიო შენატანის განხორციელების სქემაში. ეს არ არის მარტივი რეფორმა. მოკლედ ვიტყვი, მთავრობის პროგნოზით, დაგროვებითი პენსიის იმპლემენტაცია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს დაახლოებით 40 მლნ. ლარით შეამცირებს, საბიუჯეტო ხარჯებს კი გაზრდის დაახლოებით 150 მლნ. ლარით. თუმცა ეს აუცილებელი და უმ-

ნიშვნელოვანესი აქტი იქნება სოციალური პასუხისმგებლობის გადანაწილების და გრძელვადი-ან პერსპექტივაში, ერთის მხრივ პენსიონერთა უზრუნველყოფის, მეორეს მხრივ კი ქვეყანაში საინვესტიციო რესურსის ახალი წყაროს ფორმირების და კაპიტალის ბაზრის გააქტიურების მიმართულებით;

- კაპიტალის ბაზრის რეფორმა – ამ მიმართულებითაც გარკვეული სიახლეების დანერვა იგეგმება. საკანონმდებლო ცვლილებები თანხვედრაში იქნება მოწინავე საერთაშორისო გამოცდილებასა და თავისუფალი ბაზრის პრინციპებთან. კაპიტალის ბაზრის რეფორმების მდგრელი, ასევე იქნება საპენსიო რეფორმა და სადაზღვევო ბაზრის სრულყოფა, რაზეც მე ზემოთ ვისაუბრე. შედეგად ჩვენ უნდა მივიღოთ დინამიური საფონდო და კაპიტალის ბაზარი, რომელიც თავისი მასშტაბებით და თამაშის წესებით იქნება საბანკო სისტემის კონკურენტი, როგორც ფინანსური რესურსების მოზიდვის, ასევე დანაზოგების განთავსების მიმართულებით. უფრო გასაგებად რომ ვთქვა, დღეს თუ ფინანსური რესურსი გვჭირდება – ძირითადი წყარო კომერციული ბანკებია, თუ გვაქვს ფინანსური რესურსი – მისი განთავსების ძირითადი წყარო ასევე საბანკო სიტემაა. კაპიტალის ბაზრის რეფორმის შედეგად კი იქმნება დივერსიფიკაციის შესაძლებლობა და ფასიანი ქალალდების ბაზარი მის ჯანსაღ ალტერნატივად იქცევა.

- დღგ-ს ზედმეტობის ავტომატურ რეჟიმში დაბრუნება – ასევე მნიშვნელოვანი საკითხია. ეს არის დაახლოებით 500-600 მლნ. ლარი წელიწადში, რომელიც კომპანიებისათვის პრაქტიკულად „გაყიდული“ და გარკვეული პერიოდი ბრუნვიდან ამოვარდნილი იყო. ავტომატურ რეჟიმში მისი ბიზნესისათვის დაბრუნება ხელს შეუწყობს მათი აქტივობის ზრდას და გაფართოებას.

რაც შეეხება შეკითხვის მეორე ნაწილს, 2018 წლის ძირით-

ად საფინანსო-ეკონომიკურ გამოწვევებს, აქ მე პირველ რიგში კვლავ დასაქმებას, ლარის კურსის რყევას და ჩვენი ძირითად სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკურ მდგომარეობას დავასახელებდი.

მთლიანობაში ჩვენ გვჭირდება არა მხოლოდ მიმდინარე პრობლემებზე კონცენტრირება, არამედ არაორდინარული მიდგომები, ეკონომიკის ძირეული რესტრუქტურიზაცია და ინსტიტუციონალური ცვლილებები, რათა შევქმნათ ფუნდამენტი მომავალი ათწლეულების განმავლობაში სწრაფი და მდგრადი განვითარებისათვის, იმისათვის რომ საქართველომ დაიმკვიდროს ღირსეული ადგილი მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში.

**- თქვენ ახსენეთ არაორდინარული მიდგომები, დარგობრივი რესტრუქტურიზაცია, ძირეული ინსტიტუციონალური ცვლილებები. თუ შეიძლება უფრო ფართოდ რომ გვითხრათ თქვენი ხედვების შესახებ ამ მიმართულებით?**

მე ვფიქრობ, რომ პრობლემები რომელიც აფერხებს ჩვენი ეკონომიკის კიდევ უფრო სწრაფ, მდგრად და რაც მთავარია ინკლუზიურ განვითარებას უფრო ღრმა, გლობალური, ფუნდამენტალური და ინსტიტუციონალური ხასიათისაა ვიდრე ყოველდღიური, ამნუთიერი პრობლემები. მე რამოდენიმეს გამოვყოფ. ესენია:

- ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა – დღეს საქართველოს ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა დაბალკონკურენტულია და ვერ პასუხობს სახელმწიფოს და საზოგადოების თანამედროვე მოთხოვნებს და გამოწვევებს. ჩვენი სამომხმარებლო ბაზარი თითქმის 3/4-ით დამოკიდებულია იმპორტზე, საზღვარგარეთულ საქონელზე, შესაბამისად ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი დარგი არის ვაჭრობა (მშპ-ს დაახლოებით 16%), არასაკმარისადაა ნარმოდგენილი მრეწველობა (მშპ-ს დაახლოებით 17%) და მომსახურეობის სექტორი. ასე ჩვენ შორს ვერ წავალთ,

უფრო მეტიც ასე საქართველოს ეკონომიკა ვერასოდეს დაძლევს იმ ჩამორჩენას რომელიც დღეს გვაქვს ევროპის ქვეყნებთან. დღეს ხელისუფლება ცდილობს წახალისოს ექსპორტი, გვაქვს ექსპორტის მხარდაჭერის პროგრამები, იგეგმება რიგი ლონისძიებები, მაგრამ უფრო მარტივი და ამავდროულად უფრო იაფი იქნებოდა იმპორტის ჩანაცვლების მხარდაჭერა, მაკროეკონომიკური ეფექტი კი იგივე გვექნებოდა და თანაც ჩემის, აზრით უფრო სწრაფად.

• სოფლის მეურნეობა და მიწის რეფორმა – უმნიშვნელოვანესი საკითხია. სოფლის მეურნეობაში, სადაც დასაქმებულია ჩვენი მოსახლეობის დაახლოებით 45%, იქმნება მშპ-ს მხოლოდ დაახლოებით 9% და მიუხედავად უკანასკნელი წლების განმავლობაში სახელმწიფოს მხრიდან ამ დარგის უპრეცენდენტო ფინანსური მხარდაჭერისა, სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი მშპ-ში მცირდება. თავისთავად ხვედრითი წილის შემცირება პრობლემას არ წარმოადგენს, გერმანიაში სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში დახლოებით 0.8%-ია, აშშ-ში – 1.2%, საფრანგეთში – 1.8%, თურქეთში – 28%, ბულგარეთში – 30%. მთავარია გამოშვება, ანუ სოფლის მეურნეობაში შექმნილი პროდუქციის მოცულობა. ჩვენ თანამედროვე ცოდნა და ტექნოლოგიები პრაქტიკულად არ გვაქვს ამ სექტორში, შრომის ნაყოფიერება ძალიან დაბალია. კიდევ ერთი მიზეზი, დღეისათვის ფიზიკური პირების სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების საშუალო ფართობია 1.2 ჰექტარი, ხოლო სავარგულების უდიდესი ნაწილი ჯერაც სახელმწიფოს ხელშია და ამოვარდნილია კვლავნარმოების პროცესიდან. ასეთ ვითარებაში კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებაზე ლაპარაკი წარმოუდგენელია. მიწა მაქსიმალურად უნდა გადავიდეს კერძო მესაკუთრის ხელში (ცალკეული გამონაკლისების გარდა),

ფერმერული მეურნეობები კი უნდა გამსხვილდეს. სხვანაირად სოფლის-მეურნეობა საქართველოში ვერასოდეს გახდება სიცოცხლისუნარიანი, მზარდი და წარმატებული.

• რეგიონებს შორის ეკონომიკური უთანასწორობის აღმოფხვრა – რა მდგომარეობა გვაქვს ამ კუთხით? ჩვენ გვაქვს ერთი თავკომბალა თბილისი, სადაც კონცენტრირებულია მოსახლეობის დაახლოებით 35% და ბიზნეს სექტორის დაახლოებით 75% (შედარებისთვის ვიტყვი: ნიუ-იორკის წილი აშშ-ს ეკონომიკაში 9%-ია, ლონდონის წილი დიდი ბრიტანეთის ეკონომიკაში – 22%, ტოკიოს წილი იაპონიის ეკონომიკაში – 32%, ერევანზე სომხეთის ეკონომიკის 41% მოდის). კიდევ ერთი პარადოქსი, თბილისში უმუშევრობის დონე ოფიციალური სტატისტიკის შესაბამისად დაახლოებით 21%-ია, სოფლად კი – 5%(!), თუმცა რეალურად ხომ ყველამ ვიცით, რომ რეგიონებში მოსახლეობის ცხოვრების და შემოსავლების დონე მკვეთრად დაბალია და სწორედ ამიტომ თითქმის ყველა ცდილობს ჩამოვიდეს და რამენაირად დასაქმდეს თბილისში.

• ურბანიზაცია – ისევ თავკომბალა თბილისი. არის ასევე ბათუმი, სადაც ადგილი აქვს მოსახლეობის და ეკონომიკური აქტივობის ზრდას. აქტივობის მცირედი ზრდა შეიმჩნევა ქუთაისშიც. ეს ძალიან სერიოზული შემაფერხებელი ფაქტორია როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური თვალსაზრისით. ამავდროულად ეს კომპლექსური და გრძელვადიანი საკითხია. მოგვწონს თუ არა ჩვენ, პერსპექტივაში საქართველო ვერ გაექცევა სოფლის მოსახლეობის შემცირების და ქალაქის მოსახლეობის ზრდის ტენდენციას. სხვანაირად ჩვენი ქვეყანა კონკურენტუნარიანი ვერ იქნება არა თუ გლობალურ, არამედ რეგიონალურ დონეზეც კი. ასეა მთელს მსოფლიოში (მაგ. აშშ-ში სოფლად ცხოვრობს მოსახლე-

ობის დაახლოებით 18%, ევროკავშირის ფარგლებში – 25%, შვეიცარიაში – 26%, თურქეთში 26%, ჩვენს მეზობელ სომხეთში – 37%, საქართველოში კი – დაახლოებით 45%). ამ კუთხით სახელმწიფო უნდა შეიმუშაოს გრძელვადიანი სტრატეგია და ჩამოაყალიბოს ტაქტიკა. უნდა მოხდეს მდგომარეობის და პერსპექტივის შესწავლა ეკონომიკური, სოციალური, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო, თუნდაც დემოგრაფიული თვალსაზრისით და ა.შ. რათა მოხდეს იდენტიფიკაცია იმ ქალაქების (მაგალითად ქუთაისი, ზუგდიდი, ანაკლია, თელავი, გურჯაანი, გორი, ახალქალაქი) სადაც შესაძლებელია შეიქმნას სათანადო პირობები და გადანაწილდეს ბიზნესი და სამუშაო ძალა. ამ მიმართულებით შესაძლებელია, მაგალითად, მუნიციპალური სახლების/ბიზნების მშენებლობა და მუდმივ სარგებლობაში გადაცემა, გარკვეული შეღავათების და სტიმულირების ფორმების შემოღება (მაგალითად, მხოლოდ ამ ქალაქებში განხორციელებულ ბიზნეს პროექტებზე მინა 1 ლარად) და სხვ.

• თანამედროვე ტენდენციებიდან და რეალობიდან გამომდინარე, ჩვენ ასევე აქტიურად უნდა ვიფიქროთ (და არა მხოლოდ ვიფიქროთ), რომ საქართველო იქცეს ახალი ტექნოლოგიების, ციფრული და ინფორმაციული ტექნოლოგიების, ფინანსური ტექნოლოგიების, გნებავთ, ბლოკჩეინ ტექნოლოგიების კლასტერად. ამ დარგის ცალკეულ მიმართულებებს ყავს როგორც მეხოტებები ასევე მოწინააღმდეგებები, საქართველოს კი აქვს როგორც გარკვეული უპირატესობები, ასევე ნაკლოვანებებიც. თუმცა მთლიანობაში, ვფიქრობ, ეს მომავალია, 21-ე საუკუნის ტექნოლოგიებია, ჯერ კიდევ „ყამირია“ და აქ საქართველომ საკუთარი ნიშა, ადგილი დროულად უნდა დაიმკვიდროს.

• საქართველოს ხელისუფლება აქტიურად მუშაობს,

რათა საქართველო ჩამოყალიბდეს როგორც სატრანსპორტო ჰაბი. გარკვეული შედეგები უკვე სახეზეა. მომავალში, ყარსიახალქალაქის რკინიგზის, ანაკლიის პორტის, თბილისის და ქუთაისის აეროპორტების პერსპექტივის გათვალისწინებით შესაძლებლობები კიდევ უფრო მიმზიდველი გახდება. თუმცა არის ერთი მიმართულება, რომელიც ვფიქრობ, ჯერ კიდევ ყურადღების მიღმაა. ეს არის საბორნე-სატვირთო კავშირი შავი ზღვის გავლით ჩვენს პარტნიორ ქვეყნებთან (რუმინეთი, ბულგარეთი, უკრაინა). საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართული პირები და ტრანსპორტის სფეროს სპეციალისტები დამეთანხმებიან, რომ ეს მნიშვნელოვნად გაზრდის საქართველოს როგორც სატრანსპორტო ჰაბის როლს და ადგილს არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ რეგიონალური მასშტაბით. აი ასეთი მიმართულებები ნამდ-

ვიღად იმსახურებს სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერას.

- კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი. მიუხედავად იმისა რომ ბიზნესის კეთების რეიტინგის მიხედვით საქართველო ერთ ერთი ყველაზე წარმატებული ქვეყანაა მთელს მსოფლიოში (პოლიტიკური სტაბილურობა, კორუფციის და კრიმინალის დაბალი დონე, ბიზნესის დაწყების სიმარტივე, დაბალი გადასახადები და სხვ.) მაინც შეზღუდულია იმით, რომ ცალკე აღებული არის ძალიან პატარა ბაზარი როგორც მოსახლეობის (დაახლოებით 3.5 მლნ.), ასევე შრომითი ძალის (დაახლოებით 1.2 მლნ.), ეკონომიკის მოცულობის, ერთობლივი მოთხოვნის და ა.შ. თვალსაზრისით. ბოლო წლებია, საქართველოს ხელისუფლებამ გააფორმა ე.ნ. „თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები“ ევროკავშირთან და ჩინეთთან, მიმდინარეობს მუშაობა ინდოეთთან. ეს

ბევრად მეტ პერსპექტივებს ქმნის ჩვენი ქვეყნისათვის, მაგრამ იგი ეხება საქონლის, მომსახურეობის და კაპიტალის თავისუფალ ექსპორტს და იმპორტს და არა სამუშაო ძალის თავისუფალ გადაადგილებას. მიმართია, რომ დასაწყებია მუშაობა ზოგიერთ ჩვენს მემკობარ და მეზობელ ქვეყანასთან ერთიანი ბაზრის შექმნის პერსპექტივებთან, შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

ეს ჩემი მოსაზრებებია. მე როგორც პროფესიონალს, მწამს, რომ ჩვენ გაჭირდება გლობალური ხედვა, რადიკალური, ფუნდამენტალური, ძირული ცვლილებები, სხვა შემთხვევაში ჩვენ მუდმივად ვიტრიალებთ წრეზე და მუდმივად ვისაუბრებთ 4%-იანი ეკონომიკური ზრდა თუ 6%-იანი ეკონომიკური ზრდა, 180 ლარი პენსია თუ 220 ლარი პენსია, ლარის კურსი 2.6 თუ 2.4 და ა.შ.. ეს დეტალებია, ჩვენ თვისობრივად ახალ დონეზე გასვლა გვჭირდება.



## ზურაბ აბაშიძე

### ქართული ენციკლოპედია




საქართველოში საენციკლოპედიო-ლექსიკოგრაფიულ საქმიანობას დიდი ხნის ტრადიცია აქვს. ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ფილოსოფიურ-თეოლო-

გიურ და საისტორიო-ჰაგიოგრაფიულ თხზულებებს მუდამ თან ერთვოდა ენციკლოპედიური ხასიათის კომენტარი. სამეცნიერო ცნობების, ტერმინების განმარტებაზე უხვად გახვდება ეფრემ მცირის, ოთანე პეტრინის, არსენ იყალთოელისა და სხვა მოღვაწეთა ნაშრომებში.

ქართულ საენციკლოპედიო-ლექსიკოგრაფიული მეცნიერების განვითარებაში უდიდესი როლი ითამაშა სულხან-საბა ორბელიანის „ქართულმა ლექსიკონმა“. განსაკუთრებული ადგილი უკავია აგრეთვე ოთანე ბატონიშვილის ენციკლოპედიურ ნაშრომს „კალმასობას“ (1898–99) წლებში ივანე როსტომმაშვილის რედაქციით გამოვიდა მრავალტომეულად განზრახული „რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონის“ პირველი ოთხი წიგნი. XX საუკუნის დასაწყისში მეცნიერებისა და კულტურის

განვითარების დონემ, ეროვნული ინტელიგენციის მომძლავრებამ კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა ქართული ენციკლოპედიის შექმნის აუცილებლობა. ქართველმა მეცნიერებმა ალექსანდრე ცაგარელის, ვასილ პეტრიაშვილისა და ალექსანდრე ხახანაშვილის მეთაურობით გადაწყვიტეს გამოეცათ „საქართველოს ენციკლოპედია“. შეიქმნა ცნობილ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საგანგებო ამხანაგობა, შედგენილ იქნა გამოცემის ვრცელი პროგრამა, მაგრამ მაშინდელ პირობებში ამ პატრიოტულ საქმეს განხორციელება არ ეწერა.

XX საუკუნის 30-იან წლებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დიდი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის რედაქტორის შექმნას. მთავარი რედაქტორი იყო მალაქია ტოროშვილი, პასუხისმგებელი მდივანი – სიმონ ყაუხებიშვილი. ენციკლოპედიის შექმნაში მონა-



წილებდნენ ქართული მეცნიერებისა და კულტურის კორიფეები. 1933 წელს მზად იყო გამოცემის სიტყვანი. უკვე ერთი წლის შემდეგ რედაქციამ თითქმის დასრულა | ტომზე მუშაობა, მაგრამ შემდგომ ეტაპზე თავი იჩინა პოლიგრაფიულმა და სხვა სახის სიძნელეებმა. მასობრივი რეპრესიები რედაქციის თანამშრომლებსაც შეეხო. 40-იანი წლების დასაწყისში გამოცემაზე მუშაობა შეწყდა. შემორჩენილია რედაქციის არქივი (კერძოდ, ავტორთა სტატიები) და სამაკეტოდ დასტამპული ტექსტის ათონდე თაბახი. გამორჩენილ ქართველ მეცნიერთა მიერ შექმნილ საენციულოპედიო წერილებს დღემდე არ დაუკარგავს მეცნიერული ლირებულება (ი. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის, ს. ჯანაშიას, გ. ქიქოძის და სხვ. წერილები).

განახლებული სახით ქართული ენციკლოპედიის რედაქცია 1966 წელს დაარსდა ირაკლი აბაშიძის თაოსნობით, რომელიც ათეული წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ამ საშვილიშვილო საქმეს.

ჭეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა რედაქციის მიერ პირველი ქართული უნივერსალური ენციკლოპედიის თორმეტომეულის გამოცემას 1975-87 წლებში (მთ. რედაქტორი – ირ. აბაშიძე, მთ. რედაქტორის მოადგილები – რ. მეტრეველი, ა. საყვარელიძე, პ/მგ მდიგანი –

გ. უორულიანი, თ. ხოშტარია, ი. ვარდოსანიძე). მის შექმნაზე მუშაობდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები და სპეციალისტები. ენციკლოპედიის 80-ათასიანი ტირაჟი მაღლე გაიყიდა და რარიტეტად იქცა. იგი დღემდე რჩება ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროდ ქართულ ენაზე მოღვაწეზე. ასევე, იმ უცხოელებსა და მსოფლიო-ისტორიულ მოვლენებზე, რომელთაც ღრმა კვალი დატოვეს ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოებან ისტორიაში. აღნიშნულ ტომში წარმოდგენილია ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის ყველა ის ძირითადი სფერო, რომელთან დაკავშირებითაც საქართველო განიხილება მსოფლიოს საერთო ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში.

ენციკლოპედიის „საქართველო“ ბოლო ტომის გამოცემის შემდეგ 30 წელი გავიდა. მას შემდეგ ჩვენში, და მთლიანად მსოფლიოში, ისტორიული ცვლილებები მოხდა. განსაკუთრებით რთული იყო რედაქციისათვის, ისევე როგორც მთელი ქვეყნისათვის, 1990-იანი წლები. თანამშრომლებს ფაქტობრივად უსახსროდ უწევდათ სამეცნიერო საქმიანობა. მიუხედავად ამისა, შესაძლებელი გახდა მუშაობის დაწყება ენციკლოპედია „საქართველოზე“, რომლის პირველი ტომი 1997 წელს გამოიკა.

2006 წელს, მას შემდეგ, რაც ენციკლოპედიის რედაქციის შენობა გადაეცა ილიას უნივერსიტეტს, ენციკლოპედია მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შენობაში განთავსდა.

ამჟამად რედაქციის საქმიანობა უმთავრესად სწორედ ენციკლოპედია „საქართველოს“ მომზადებაზეა მიმართული. მიმდინარეობს მუშაობა „საქართველოს“ მეოთხე ტომზე და მისი გა-

მოცემა მიმდინარე წლისთვისაა გათვალისწინებული.

ენციკლოპედია „საქართველოს“ IV ტომში მკითხველს ვაწვდით მრავალფეროვან ინფორმაციას საქართველოსა და ქართველებზე, ყველა მნიშვნელოვან მოვლენაზე, ფაქტსა თუ მოღვაწეზე. ასევე, იმ უცხოელებსა და მსოფლიო-ისტორიულ მოვლენებზე, რომელთაც ღრმა კვალი დატოვეს ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოებან ისტორიაში. აღნიშნულ ტომში წარმოდგენილია ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის ყველა ის ძირითადი სფერო, რომელთან დაკავშირებითაც საქართველო განიხილება მსოფლიოს საერთო ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში.

ენციკლოპედია „საქართველოს“ დასაყრდენია უახლესი ინფორმაცია და მონაცემები, პირველი ქართული უნივერსალური ენციკლოპედიის თორმეტომეული და რედაქციის მიერ მომზადებული სხვა გამოცემები. მასალების შეჩევისა და აგების ძირითად მეთოდოლოგიურ პროცესში ცვლილებებია შეტანილი (იგულისხმება ცალმხრივი იდეოლოგიზაციის, დოგმებისა და სტერეოტიპების დაძლევა). როგორც წესი, გადამუშავდა, განახლდა ძველი და დაინერა ახალი სტატიები.



აღსანიშნავია, რომ თავიდან გათვალისწინებული იყო ენციკლოპედია „საქართველოს“ 5 ტო-

მად გამოცემა, თუმცა ბოლო ათეული წლების მანძილზე უხვად დაგროვილი ახალი ინფორმაციის გამო შესაძლებელია ენციკლოპედიის ტომების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდოს.

ბოლო 16 წლის მანძილზე ენციკლოპედიის რედაქციამ სამეცნიერო საზოგადოებასა და ფართო მკითხველს რამდენიმე საინტერესო გამოცემა შესთავაზა. კერძოდ, 2002 წელს გამოცა ენციკლოპედია „თბილისი“, რომელშიც თავმოყრილი და სისტემაში მოყვანილია ძირითად ცნობები ჩვენი დედაქალაქის შესახებ. წიგნმა ქართველი მკითხველის დიდი ინტერესი და მონონება დაიმსახურა. 2008 წელს კი ქართული ენციკლოპედიის მთავარმა სამეცნიერო რედაქციამ გამოსცა ენციკლოპედიური ლექსიკონი „თბილისი: ქუჩები, გამზირები, მოედნები“. წიგნში დეტალურადაა ასახული თბილისის ქუჩების მდებარეობა, ისტორია და არქიტექტურული სახე, მოცემულია იმ პირთა ბიოგრაფიული ცნობები, ვის სახელსაც ატარებს ესა თუ ის ქუჩა. წიგნს დართული აქვს სახელშეცვლილი ქუჩების სია, 117 სქემატური რუკა თავისი საძიებლებით, რომელშიც მითითებულია 2400-მდე ობიექტის კოორდინატები; გამოცემას უფრო თვალსაჩინოს ხდის ასობით ფოტოილუსტრაცია.

ეს არის უნიკალური გამოცემა, სადაც ასახულია ის ცვლილებები, რაც განიცადა თბილისის ქუჩების სახელწოდებებმა XIX ს-იდან დღემდე. ამისათვის დამუშავდა 1846-1917 წლებში გამოცემული კავკასიის კალედრები, თბილისის გეგმები და ტოპოგრაფიული რუკები, ქუჩების ცნობარები, თბილისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცული საარქივო მასალა, საქართველოს პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახ. ეროვნულ ბიბლიოთეკში არსებული შესაბამისი ლიტერატურა და სხვ.

ჩვენი აზრით, ახლო მომავალში სასურველი იქნებოდა



აღნიშნული ნაშრომის განახლებული ვარიანტის მომზადება, რისთვისაც აუცილებელი იქნება თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლოების შემსრულებლივ კომისიასთან მჯიდრო თანამშრომლობა.

ქართული ენციკლოპედიის მთავარმა სამეცნიერო რედაქციამ, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტთან ერთად, მოამზადა განმარტებით და ორთოგრაფიულ ლექსიკონთა სერია, მათ შორის კ. გიგინეიშვილის „ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (1985), „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ერთტომეული“ (1986, მეორე გამოცემა 2 ნაკვეთად, 1990); „საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (1987; მეორე გამოცემა – 2009); „საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (1989); „უცხოური პირთა სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (1989) და სხვ.

2008 წელს გამოიცა პირველი ქართული სამეცნიერო-დარგობრივი ენციკლოპედია „ქართული ენა“, რომელიც მოიცავს ქართული ენის ისტორიისა და ფუნქციონირების (სალიტერატურო ენა, სახელმწიფო ენა) ყველა ასპექტს. იგი აშენებს ქართული ენის ისტორიის, სტრუქტურის, დიალექტური შედგენილობის პრობლემებს, მოყოლებული

ძველი დროიდან თანამედროვე ქართულის ჩათვლით. ქართული ენა განხილულია ენათმეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეზე, რაც მიუთითებს ქართველ მეცნიერთა და უცხოულ ქართველობობთა მიღწევებზე ამ დარგში. ენციკლოპედიაში ასახულია მასალა ქართველური და კავკასიური ენების, აგრეთვე იმ ენების შესახებაც, რომლებიც საქართველოში იყო ან არის გავრცელებული, ან რაიმე კონტაქტი ჰქონდათ ქართულ ენასთან უშუალოდ ან მნიგნობრული გზით. ამ მასალას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ენის კონტაქტების შესასწავლად. ზოგიერთი ცნობა დაიბეჭდა პირველად. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ძველი ქართული გრამატიკული აზრის განვითარების და ლექსიკოლოგიური კვლევის შემსწავლელი მასალები, მ. შ. ზოგი პირველად გახდა ხელმისაწვდომი ფართო საზოგადოებისთვის. ენციკლოპედიაში მიმოხილულია მნიშვნელოვანი ქართული ეპიგრაფიული ძეგლები, რომლებიც შემონახულია როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. უნდა აღინიშნოს ჩრდილო კავკასიაში გავრცელებულ ქართული ძეგლების ამსახველი მასალები. სტატიებს ახლავს უნიკალური ილუსტრაციები. ზოგიერთი ცნობა და ილუსტრაცია ასევე პირველად გახდა ხელმისაწვდომი ფართო საზოგადოებისთვის. ენციკლოპედიაში

ასახულია ქართული მწიგნობრობის ცენტრები უძველესი დროიდან მოყოლებული, თანამედროვე სამეცნიერო-კვლევითი სამეცნიერო დაწესებულებების ჩათვლით.

ენციკლოპედიაში არის სტატიები იმ მოღვაწეთა შესახებ, რომლებმაც, დაწყებული ძველი დროიდან, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართულ მწიგნობრობასა და კულტურაში.

ამ გამოცემით სარგებლობენ როგორც სპეციალისტები, ისე ქართველოლოგის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრე.

2011 წელს წიგნის შემდგენელს იზაბელა ქობალავას და რედაქტორ გურია კვარაცხელიას მიერიქათ აკად. აკავი შანიძის სახ. პრემია.

პარალელურად მომზადდა „ქართული დამწერლობა – პირულარული გამოცემა ალბომის სახით მოსწავლე ახალგაზრდობისათვის. წიგნის ტექსტის ავტორია ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფ. ელენე მაჭავარიანი.

ძველი ქართული დამწერლობის – ასომთავრულის და წუსხურის შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძველი კულტურული მემკვიდრეობის გამოსავლენად, განსაკუთრებით ძეგლების ზუსტი დათარიღების თვალსაზრისით. აქედან გამოდინარე, გამოცემის მიზანია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით თვალი გავადევნოთ ცალკეულ ასო-მოხაზულობათა გრაფიკულ განვითარებას. ვიზუალური მასალის საფუძველზე წიგნში წარმოდგენილია ყოველი ასოს გრაფიკული შედარება თანამედროვე მხედრულ დამწერლობასთან, ხოლო წუსხური დამწერლობა განიხილება როგორც შუალედური, გარდამავალი ეტაპი ამ საერთო განვითარებაში.

ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, ჩვენს ქვეყანაში საფუძველი ჩაეყარა მნიშვნელოვან საქმეს – სამეცნიერო-საცნობარო, ენციკლოპედიური ხასიათის მრავალტომეულის – „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის“ გამოცემას.

სამუშაოთა კოორდინაცია და კრებულის გამოცემა იმთავითვე დაევალა ქართული ენციკლოპედიის მთავარ სამეცნიერო რედაქტორის, ხოლო მასალის მომზადება – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაქვემდებარებაში მყოფ, შესაბამისი პროფილის ინსტიტუტებს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტსა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრს.

ხანგრძლივი სამეცნიერო-კვლევითი და სარედაქციო მუშაობის შედეგად, 1990 წელს გამოიცა მრავალტომეულის პირველი წიგნი, რომელშიც შესულია შედა ქართლის (გორის, კასპის, მცხეთის, ქარელის და ხაშურის რაიონები) 1600-მდე ისტორიისა და კულტურის ძეგლი (აღინიშნა საქართველოს სახელმწ. პრემიით, 1993).

2004 წელს გამომცემლობა „მეცნიერებამ“ დასტამბა „აღწერილობის“ მეორე წიგნი (ნაბეჭდითაბაზი 33, ტირაჟი 500). აღსანიშნავია, რომ კრებულის პირველი ტომის ტირაჟი გახლდათ 50 000, რომელიც მიეძღვნა აღმოსავლეთ საქართველოს მთავარი ასმეტის, დუშეთის, თაიანეთის, ყაზბეგის რაიონები) ისტორიისა და კულტურის ძეგლებს. 2013 წელს დაისტამბა „აღწერილობის“ მესამე წიგნი (ნაბეჭდითაბაზი 38, ტირაჟი – 500), რომელიც მიეძღვნა გურჯაანის, დედოფლისნისა და ყვარლის მუნიციპალიტეტების ისტორიისა და კულტურის ძეგლებს. 2015 წელს გამომცემლობა „ლეთამ“ დასტამბა „აღწერილობის“ მეორე წიგნი (ნაბეჭდითაბაზი 38, ტირაჟი – 500), რომელშიც მიმოხილულია ქ. თელავისა და თელავის მუნიციპალიტეტის ისტორიისა და კულტურის 363 ძეგლი.

ამრიგად, უკვე გამოცემულ ამ ოთხ ტომში თავმოყრილია მა-

სალა ისტორიული შიდა ქართლის, აღმოსავლეთ საქართველოს მთავარი და კახეთის ისტორიისა და კულტურის 3000-მდე ძეგლის შესახებ, არქიტექტურის ძეგლების უმეტესობას ერთვის ნახაზები (გეგმა, ჭრილი, ფასადი და სხვ.) და დამახასიათებელი ფოტოები.

ამჟამად რედაქციაში მუშაობა მიმდინარეობს გამოცემის მეხუთე ტომზე, რომელიც ეძღვნება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის კულტურული მეკვიდრეობის ძეგლებს. ძეგლების მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც ტექსტობრივი, ისე ვიზუალური მასალა ჩვენს მიერ უკვე დამუშავებულია და 2018 წლის მეოთხე კვარტლისათვის მზად იქნება დასასტამბად. მასალის კამერალურ დამუშავებასთან ერთად, მიმდინარეობს საველე სამუშაოებიც, რომლის დროსაც ჩვენს ხელი არსებული მასალა მდიდრდება ახალი მონაცემებითა და გამოვლენილი ძეგლებით. თუმცა, მიუხედავად ჩვენი დიდი მონდომებისა და მრავალმხრივი მცდელობისა – უსახსრობის გამო – საველე სამუშაოები შეფერხებულია; საქმე ის არის, რომ „აღწერილობაში“ შეტანილ უნდა იქნას ყოფილი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე კულტურის უკლებლივ ყველა ძეგლი, ე. ი. ის კულტურული ფასეულობა, რომელიც წარმოადგენს ინტერესს ისტორიული, არქეოლოგიური და არქიტექტურული თვალსაზრისით; ამის გამო აუცილებელია ზემოაღნიშნულ მუნიციპალიტეტებში სამეცნიერო-საძიებო სამუშაოების ჩატარება, შესასწავლი და აღსანიშნავისათვის ათეული, სამეცნიერო ლიტერატურული უცნობი არქიტექტურული ნაგებობა, საჭიროა მათი აზომვა, ფოტოგადაღება და სხვა. ყოველივე ეს დაკავშირებულია სისტემატურ საველე სამუშაოებთან და მოითხოვს მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტთა დასაქმებას, რისი დაფინანსების საშუალება ენციკლოპედიის მთავარ სამეცნიერო რედაქციის არა აქვს.

2011 წელს ენციკლოპედიის რედაქციამ მკითხველს შესთავაზა გამოცემა უცხოეთში მოღვაწე იმ ქართველებისა და ქართული წარმოშობის პირთა შესახებ, რომლებმაც უძველესი დროიდან დღემდე მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს ამა თუ იმ უცხოეთის ქვეყნის კულტურაში, მეცნიერებასა თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში. ზოგი მათგანი საქართველოში არ დაბადებულა, ზოგიერთს საქართველოში არც უცხოვრია, ან ბავშვობისას დაუტოვებია სამშობლო; ისინი იმ ქვეყნის კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ნაწილად იქცნენ, სადაც მოღვაწეობდნენ. შთამპეჭდავია ამ ქვეყნების ჩამონათვალი: ეგვიპტე, ბიზანტია, საბერძნეთი, პალესტინა, ირანი, ოსმალეთი, ევროპის ქვეყნები, რუსეთი, ამერიკა....

გამოცემაში მოხვდნენ არა მხოლოდ ისინი, რომლებმაც თავისი საქმიანობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სხვა ქვეყნის ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში (უფრო მეტიც, ზოგი მათგანი წმინდანად და ეროვნულ გმირადაც კი შერაცხეს), არამედ ისინიც, რომლებიც უცხოეთში საქართველოსთვის დამვრნენ და საქართველოს იქიდან გაუზიეს ფასდაუდებელი სამსახური. მაგ., ქეთევან დედოფლიალი და ექვთიმე თავაიმვილი... ერთი – ქრისტიანული სარწმუნოებისათვის თავგანწირების, უმაგალითო ზნეობისა და ღირსების სიმბოლო არა მარტო ქართველთავის, არამედ მთელი საქართველოსათვის; მეორე – წლების განმავლობაში ეროვნული საგანძურის უანგარო მცველი უცხო მინაზე. ორივე წმინდანად შერაცხა ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ, რადგან მათმა თავდადებამ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა შეიძინა.

მასალის მოძიებისას გამოვიყენეთ „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, ენციკლოპედიები „საქართველო“ და „ქართული ენა“, ქართველ (გ. ბერაძე, ნ. ვაჩაძე, თ. ნატროშვილი, მ. სვანიძე, ბ. სილაგაძე, კ. ფერაძე,

მ. ქავთარია, გ. შარაძე, დ. ჯანელიძე, გ. ჯაფარიძე) და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები. უანგარო დახმარება გაგვინდა საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმმა, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმმა, ვ. ჭაბუკიანის მემორიალურმა სახლ-მუზეუმმა, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრმა და დოკუმენტური ფილმების სტუდიამ „მემატიანე“.

2014 წელს ენციკლოპედიის რედაქციამ მკითხველს შესთავაზა ალნიშნული გამოცემის მეორე ტომი – „100 ღირსახსოვარი სახელი“. იგი მიეძღვნა იმ არაქართული წარმომავლობის ცნობილ მოღვაწეებსა და უცხოელებს, რომლებმაც ისტორიის მანძილზე დიდი ამაგი დასდეს საქართველოს კულტურას, მეცნიერებას და ა. შ. ეს გამოცემა (ქართული,

რუსული და ინგლისურ ენებზე) მადლიერების გამოხატულებაა ამ დიდი პიროვნებების მიმართ, თავისებური საბუთი იმისა, რომ საქართველოში არ ივიწყებენ და პატივს მიაგებენ მათ, ვინც გვერდზე გვედგა ბედნიერებისა თუ უბედობის ჟამს.

ენციკლოპედია ერთგვარი პასპორტია, მისი კულტურისა და განათლების გამოხატულება. დღევანდელ „ციფრულ სამყაროში“ კი განსაკუთრებით აქტუალურია საკუთარი სივრცის დამკვიდრება, მეცნიერებისათვის ხარისხიანი ინფორმაციის მიწოდების საშუალებით. ამის გათვალისწინებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენციკლოპედიის სპეციალური ვებ-გვერდის (georgianencyclopedia.ge) დახვენასა და განვითარებას. ამჟამად, ალნიშნულ ვებ-გვერდზე განთავსებულია ენციკლოპედია „საქართველოს“ 3 ტომის მასალა.

## ა კ ა დ ე მ ა მ ი ს

## ს ტ უ მ რ ე ბ ი

### აკადემიის სტუმარი დიდი პრიზითაციიდან

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას სექტემბრის თვეში სტუმრობდა გამოჩენილი ინგლისელი მათემატიკოსი, პროფესორი დევიდ ედმუნდსი მეუღლითურთ. გასული წლის ზაფხულში იგი ერთხმად არჩეულ იქნა აკადემიის საპატიო წევრად.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა 29 სექტემბრის სხდომაზე პროფესორმა დევიდ ედმუნდსმა გააკეთა მოხსენება ბრიტანული მათემატიკის ტრადიციების შესახებ.

ამავე სხდომაზე აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოს-მა გიორგი კვესიტაძემ პროფ. დევიდ ედმუნდსს საზეიმო ვითარებაში გადასცა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრის



დიპლომი და აკადემიის წევრის სამკერდე ნიშანი გელათის აკადემიის დამფუძნებლის დავით ალმაშენებლის გამოსახულებით.

პროფესორი დევიდ ედმუნდსი თანამედროვეობის გამოჩენილი მათემატიკოსია. მას მიღებული აქვს მაღალი კლასის შედეგები

მათემატიკის ისეთ დარგებში, როგორიცაა: სპექტრალური თეორია, ფუნქციათა სივრცეებისა და ოპერატორების თეორია, არანრფივი ანალიზი, აპროქსიმაციის თეორია, ჩვეულებრივი და კერძონარმობულებიანი დიფერენციალური განტოლებები. მსოფლიოს მათემატიკურ წრეებში აღიარებულია, რომ მისმა შემოქმედებამ მათამბეჭდავი გავლენა მოახდინა მათემატიკის მთელი რიგი მიმართულებების განვითარებაზე.

დ. ედმუნდის გამოქვეყნებული აქვს 10 მონოგრაფია ისეთ ცნობილ გამომცემლობებში როგორიცაა: ოქსფორდის და კემბრიჯის უნივერსიტეტების, მპრინგერის, კლუვერის გამოცემლობები, მათ შორის, ერთი ქართველ ავტორებთან ერთად.

დ. ედმუნდის დაჯილდოებულია ლონდონის მათემატიკური საზოგადოების პოლიას სახელობის პრემიით, ჩეხეთის მეცნიერებათა აკადემიის ბოლცანოს ოქროს მედლით. მას აღზრდილი ჰყავს 18 მოწაფე სხვადასხვა ქვეყნიდან,

რომელთა შორის არიან მსოფლიოში განთქმული მათემატიკოსები.

დღეისათვის დ. ედმუნდის არის დიდი ბრიტანეთის კარდინალისა და სასექსის უნივერსიტეტების საპატიო პროფესორი.

ფრიად ნაყოფიერია პროფესორ ედმუნდის მრავალწლიანი სამეცნიერო თანამშრომლობა ქართველ მათემატიკოსებთან, მათ შორის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტისა და ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომლებთან. ეს ფაქტი გამოხატულია 20 ერთობლივ სამეცნიერო ნაშრომში, რომლებიც გამოქვეყნებულია მალალავტორიტეტულ უურნალებში: Canad. J. Math. Nachrichten, Z. Analys., Anwend., housTon J. maMath., Funct. Spaces and Appl. და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ეს თანამშრომლობა დღესაც წარმატებით გრძელდება.

პროფესორ დევიდ ედმუნდ-სის მეუღლეს როუზს მინიჭებული აქვს ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი მათემატიკაში (PhD). მას წარმატებული კარიერა ჰქონდა სამეცნიერო ბიზნესში, სადაც ის გახლდათ ამ ბიზნესის მფლობელთა კონსულტანტი. ის მუშაობდა რამდენიმე წამყვან გლობალურ ფირმაში და ბოლოს იყო მსოფლიოში ექვსი ყველაზე მსხვილი აუდიტორული კომპანიიდან ერთ-ერთს პარტნიორი. აღნიშნულ სფეროში თითქმის 20-წლიანი წარმატებული მოღვაწეობის შემდგომ როუზმა შეცვალა საქმიანობა და ახლა ის წერს ტრილერებს მკაცრად ეთიკურ საკითხებზე. მის შემოქმედებაში უმეტესწილად ასახულია ბიზნესის სამყარო, კერძოდ, კონფლიქტი კაპიტალიზმა და კაცობრიობას შორის. მას გამოქვეყნებული აქვს 3 წიგნი, ხოლო მეოთხის გამოქვეყნება დაგეგმილია 2018 წელს. ქალბატონმა როუზმა ერთ-ერთი თავისი წიგნი საჩუქრად გადასცა აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილებას.

## ა ბ ა გ დ ა რ ბ ი ს

ამჯერად „უწყებებში“ საუბარი გვექნება გარდახვენილობაში (ემიგრაციაში) საქართველოსთვის დამაშვრალი პიროვნებების საქართველოს მეცნიერებათა მაღალ-სამყოფლოს (აკადემიის) საპატიო წევრის (1983 წ.) კალისტრატე სალიას და მისი მეუღლის ნინო სალიას ცხოვრების და მათ მიერ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პარიზში დაარსებული მოამბის (უურნალის) „ბედი ქართლისას“ შესახებ.

### კალისტრატე სალია (1900-1986)

ქართველი გარდახვენილი (ემიგრანტი). საფრანგეთში მცხოვრები მიზანგათვლითი (პოლიტიკური) და ეროვნული მოლვანე. მწერალი. მეცნიერი. გამომცემელი. არნადელი (რედაქტორი). როგორც საყოველ-სახალხოებითი ცალკეობის (სოციალ-დემოკრატიული პარტიის) წევრი,

საქართველოს ძალად გასაბჭოების შემდეგ დაპატიმრებულ და ჩასმულ იქნა მეტების ციხეში. იყო ერთი იმ 62 (არსებობს განსხვავებული რიცხვიც) მიზან-გათვლით ტუსალს შორის, რომელიც მეტდამჯგუფეობითმა (ბოლშევიკურმა) ხელისუფლებამ 1922 წლის ლვინობა-ჭკნობაში (ოქტომბერ-ნოემბერში) საქართველოდან გერმანიაში გაასახლა. გარდახვენილობაში გადასინჯა თავისი მიზანგათვლითი შეხედულებები. დატოვა საყოველ-სახალხოებითი ცალკეობის რიგები და შევიდა თეთრი გიორგის მოძრაობაში, სადაც წამყვანი გურდივი (პოზიცია) დაიკავა. როგორც თეთრი გიორგის წარმომადგენელი, შედიოდა გარდახვენილობაში შექმნილი ეროვნული საგაძლოლოს (კომიტეტის) შემადგენლობაში და ქმედით (აქტიურ)



მონაწილეობას ღებულობდა მის მუშაობაში. გამსწვრივად (პარალელურად) ეწეოდა სამეცნიერო მოღვაწეობას. იყო მექმი (ავტორი) ქართული შვენილობის

(კულტურის) საკითხებთან დაკავშირებული არაერთი გამოკვლევისა და ცალკეული წერილისა. ამ მხრივ, მისი შრომის უმთავრეს შედეგს წარმოადგენდა 1980 წელს პარიზში გულანად (წიგნად) გამოცემული ფრანგულენოვანი თხზულება „საქართველოს ისტორია“, რომელიც განსხვავებული სათაურით: „ქართველი ერის ისტორია“, უფრო ადრე, 1972 წელს, მოამბე (ჟურნალ) „ბედი ქართლისაში“ დაიბეჭდა. 1921 წლის 25 ლხობას (თებერვალს) მეტადმჯგუფეობითმა რუსეთმა და მისმა ქართველმა მსახურებმა ცეცხლით და მახვილით დაამხეს საქართველოს სამი წლის დამოუკიდებლობა, რასაც შედეგად ქართველთა ერთი უკეთესი ნაწილის უცხოეთში გახიზვნა მოჰყვა. ნაქმობრივად (ფაქტობრივად) ქართველი ხალხის მიზანგათვლითი ცნობიერება ორად გაიხლიჩა. ზავი შეუძლებელი აღმოჩნდა. მიზანგათვლითი და ცნებათმცოდნეობითი (იდეოლოგიური) შეუთავსებლობა არ იძლეოდა დაპირისპირებული მხარეების ურთიერთობის საშუალებას ცხოვრების არცერთ პრუნქრეში (სფეროში). ახლა, ამ გადასახედიდან, თვალის ერთი გადავლებითაც კი თითქოს უკეთ გამოიკვეთა ის, რაც დაპირისპირების წლებში თითქმის არ ჩანდა. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ თურმე მაინც არსებოდა ერთი პრუნქრე (სფერო), რომელშიც ორივე მხარის მეტ-ნაკლები რუდუნება, ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად, ერთმანეთს ერწყმოდა. ეს იყო შვენილობა (კულტურა). არა ახალი, საყოველთაობითი (სოციალისტური) ან თავნმოგებითი (კაპიტალისტური), არა-ამედ ათასწლოვანი დაფუძნებების (ტრადიციების) მემკვიდრე ქართული შვენილობა, რომელიც ბევრად უფრო სიცოცხლისუნარიანი და გამძლე შეიქნა, ვიდრე ესა თუ ის ცალკეობითი ცნებათმცოდნეობა (იდეოლოგი). საბედნიეროდ, არსებოდა ადამიანთა გარკვეული რიცხვი, რომელიც ამას გრძნობდა და მცირე რიც-

ხვი ქართველთა, ვინც ეს იცოდა. კალისტრატე სალია ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც ამას თავდაპირველად გრძნობდა, შემდგომში კი გამოკვეთილად ხედავდა. 1948 წელს მან მეუღლესთან, ნინო სალიასთან ერთად, პარიზში დააარსა და ოთხი ათეული წელი გამოსცემდა მოამბეს: „ბედი ქართლისა“. მოამბეს ჰქონდა არსებობის ორი ანათვალი (პერიოდი): ქართულენოვანი და ფრანგულენოვანი. ფრანგულენოვან მოამბეში მასალები სხვა ევროპულ ენებზეც იბეჭდებოდა. „ბედი ქართლისას“ პირველი ანათვალი, როდესაც მასში ძირითადად უცხოეთში მოღვაწე ქართველ მექმთა (ავტორთა) თხზულებები ქვეყნდებოდა, ცნებითად (იდეურად) გამოჭედეს და წარმართეს გრიგოლ რობაქიძემ და მიხეილ წერეთელმა. ეს სრულიად აშკარად ჩანს მოამბის დღეს უკეთ შეყვითლებული ფურცლებიდან. კალისტრატე სალია ამ ორი დიდებული მოღვაწის უმცროსი მეგობარი იყო და მათთან ურთიერთობაში ყალიბდებოდა მისი, როგორც მეცნიერის, გამომცემლის და არნადელის მსოფლებელი. მათი უვრცესი, უმნიშვნელოვანესი, დღეისდღეობით მხოლოდ ნაწილობრივ ხელმისაწვდომი მიმოწერა უენევა-მიუნხენი-პარიზის სამკუთხედში, ოდესმე ბევრს რასმე იტყვის ამ თუ სხვა თვალსაზრისით. ნათელი ერთია: მათი ურთიერთობა, რომელიც დროდადრო არც დააბულობას და წინააღმდეგობებს იყო მოკლებული, ბოლომდე ურღვევი დარჩა და დაგვირგვინდა ლირსშესანიშნავი ქმედით (აქტით), რაც გამოიხატა „ბედი ქართლისას“ არნადელის და მისი მეუღლის მიერ 1976 წლის შემოდგომაზე უენევიდან გრიგოლ რობაქიძის ნეშტის, მიუნხენიდან კი მიხეილ წერეთლის ნეშტის საფრანგეთში, ლევილის ქართველთა სასაფლაოზე გადმოსვენებაში. გარდაცვალების შემდეგ კალისტრატე სალიას ფერფლი მისმა მეუღლემ ორი უფროსი მეგობრის საფლავების გვერდით

მიაბარა მიწას. მოგვიანებით კი, საქართველოში ჩამოიტანა და დიდუბის საგანსვენებოში (პანთეონში) დაუდო სამუდამო ბინა. უნდა აღვნიშნო, რომ კალისტრატე სალიას ნეშტის დაკრძალვაში მეც ვმონაწილეობდი, რასაც ახლაც პატივად მივიჩნევ. ასევე პატივად მივიჩნევ იმ დღეს ქალბატონი ნინო სალიას გაცნობას. გარდახვენილობას საზოგადოდ თან ახლავს მიზანგათვლითი დაპირისპირება და აზრთა სხვადასხვაობა. ამ მხრივ, არც ქართული გარდახვენილობა წარმოადგენდა გამონაკლისს. გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში შედარებით ახალგაზრდა მიზანგათვლითი თაობა, „პასუხისმგებელი ემიგრაცია“, როგორც ის უწოდებდა თავს, შეუვალად (კატეგორიულად) დაუპირისპირდა კალისტრატე სალიას და მის მოამბეს. საბაბი გახდა 1972 წელს „ბედი ქართლისაში“ ფრანგულ ენაზე დაბეჭდილი კალისტრატე სალიას თხზულების „საქართველოს ისტორიის“ ერთი გამოთქმა (ფრაზა): „1921 წლის 25 თებერვალს საქართველო გასაბჭოებულ იქნა და დღეს არის ერთი იმ თხუთმეტი რესპუბლიკიდან, რომლებიც ქმნიან საბჭოთა კავშირს.“ ის ამბავი, რომ მექმის მიერ თხზულებაში გამოყენებული იყო სიტყვები: „გასაბჭოებულ იქნა“, მაგრამ არ იყო ნაჩენები თუ რა გზით და ვის მიერ იქნა გასაბჭოებული საქართველო, მას, როგორც მიზანგათვლით გარდახვენილს, საბჭოთა ხელისუფლების წინაშე დათმობად ჩაუთვალეს. ასევე დათმობად იქნა მიჩნეული 1966 წელს საქართველოში გადახდილი შოთა რუსთაველის პატივმიგების (იუბილის) მომზადებაში მისი მონაწილეობა, რაც, როგორც ჩანს, გამოიხატა უცხოელ მოღვაწეთა საქართველოში მიწვევის სხემოწოდებაში (ორგანიზებაში). მოგვიანებით, დაპირისპირებული თაობის ზოგიერთი წარმომადგენლისგან დათმობად იქნა ჩათვლილი 1983 წელს საქართველოს მეცნიერებათა მაღალსამყოფლო-

**ში** (აკადემიაში) საპატიო წევრად არჩევაზე კალისტრატე სალიას დათანხმება. ასეთი შეფასება „ბედი ქართლისას“ **არნადელის** მოღვაწეობისა, ცალმხრივი და მიკერძოებულია. კალისტრატე სალიას მიაჩნდა, რომ მის მიერ დასახული მოწოდება: „საქართველო უწინარეს ყოვლისა“, საბოლოო ჯამში, ყოველგვარ მიზანგათვლით დაპირისპირებას აღემატებოდა და თავისი მოღვაწეობა და ძალისხმევა ამ მოწოდების განსახორციელებლად ჰქონდა წარმართული. **მეტდამჯებულები** მას გულზე არასოდეს არ ეხატებოდნენ, მაგრამ, სამოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული, მნიშვნელოვანი **ქართველთმცოდნეობითი** საკითხების კვლევაში საქართველოში მოღვაწე მეცნიერებთან ურთიერთობა გარდაუვალ აუცილებლობად მიაჩნდა. ის ასევე თვლიდა, რომ რუსთაველი კაცობრიობის და სარულიად საქართველოს კუთვნილება იყო და არა რომელიმე მიზანგათვლითი ძალისა თუ დაჯებულებისა. ამიტომ მიიღო მან მონაწილეობა საქართველოში გადახდილი რუსთაველის **პატივმიგების** მომზადებაში. ასეთი ნაბიჯის გადადგმას, ღია და თუ ფარულად, დიდი გამბედაობა სჭირდებოდა და მას ეყო გამბედაობა ემოქმედა ისე, როგორც ეს „ბედი ქართლისას“ წინაშე დასახული ამოცანების გადასაჭრელად მიაჩნდა საჭიროდ. როდესაც ის ოთხმოციან წლებში საქართველოს მეცნიერებათა **მაღალსამყოფლოს** საპატიო წევრობაზე დათანხმდა, ალბათ სჯეროდა, რომ ხდებოდა წევრი არა საბჭოთა მეცნიერებათა **მაღალსამყოფლოსი**, არამედ **მაღალსამყოფლოსი**, რომელიც შეიქმნა 1918 წლის 26 იანვარს დაარსებული თბილისის **ნაირსასიძრიშვილის** (უნივერსიტეტის) **ყრდენზე** (ბაზაზე) და რომლის წევრებიც თავის დროზე იყვნენ: ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე, გალაკტიონ ტაბიძე, კონსტანტინე განსახურდია და სხვები. რომლის

წევრიც იმუამად ჯერ კიდევ იყო აკაკი შანიძე, კაცი დამაშვრალი სრულიად საქართველოსთვის, ცოცხალი სიმბოლო გარდასულ უმთა და გრიგალთა. და ბოლოს, როდესაც მან სამშობლოში დამარხვა ისურვა, უთუოდ სჯეროდა, რომ იმარხებოდა არა **საერთოებითი** (კომუნისტური) საქართველოს, არამედ საქართველოს მიწაში.

### ნინო სალია-ქურციკაშვილი (1899-1993)

კალისტრატე სალიას მეუღლე-**მოამბე** „ბედი ქართლისას“ გამომცემელი, **მექმი** და დაუღლავი მუშაკი. **გარდახვეწილობაში** სრულიად ახალგაზრდა აღმოჩნდა. „რუსეთის რევოლუციის ქარიშხალმა ვით მოწყვეტილი ფოთოლი პარიზში გადმომისროლა.“ – წერდა ერთგან. ნინოს პირველი მეუღლე შეძლებული კაცი ყოფილა. და მისგან გარკვეული სახსრები და პარიზში კარგი ბინა დარჩენია. ეს ბინა გახდა ქართული **გარდახვეწილობის** ერთ-ერთი მნიშვნელოვანი **შვენილი** (კულტურული) კერა პარიზში, მას მერქ, რაც ნინო და კალისტრატე სალია შეუღლდნენ და საერთო ძალისხმევით **მოამბე** „ბედი ქართლისას“ დაარსეს. ცხადია, სალიების ოჯახის სტუმართმოყვარეობას **მოამბის** წინაშე დასახული მიზნების განსახორციელებლად ღწვაც განაპირობებდა. მათსას თავს იყრიდა არა მარტო პარიზსა და საფრანგეთში, არამედ მთელ მსოფლიოში გაფანტული ქართველობა, რაშიც ოჯახის დიასახლისის დამსახურება უთუოდ განსაკუთრებული იყო. გამორჩეული მეგობრობა აკავშირებდა სალიების ოჯახს გრიგოლ რობაქიძესთან და მიხეილ წერეთელთან. არაერთხელ სწევებიან მათ უენევაში და მოუნხენში და ამით მათდამი ყურადღება და პატივისცემა გამოუხატავთ. ეს ყურადღება ციურ მანანასავით სჭირდებოდა გრიგოლს, შერისხულს და ცოლის ხანგრძლივი ავადმყოფობით შეჭირვებულს, და არანაკლებ




მიხეილს, ვისაც ერთადერთი ვაჟიშვილი ომის დროს დაელუპა და მას შემდეგ გული აღარ გამრთელებია. ცნობილია **მნათამასახი** (ფოტოსურათი), რომელზეც ნინო, მიხეილი და გრიგოლი ერთად არიან აღბეჭდილი. ნინო სალია თავს მათ უმცროს დად თვლიდა. საოცრად მტკიცნეულად განიცდიდა მათი მისამართით გამოთქმულ ყოველგვარ **გასჯას** (კრიტიკას) და აუგ სიტყვას და პასუხის გასაცემად, წერილი და სიტყვიერად, უმაღვე მზად იყო. მისი კალმის სიმახვილე არაერთხელ წარმოჩენილა **მოამბის** ფურცლებზე, როცა ეს აუცილებლობას მოუთხოვია. წერდა წერილებს ხელოვნების და **შვენილობის** საკითხებზე, როგორც ქართულად, ასევე ფრანგულად. მორწმუნე, **ხელდასხმითი** (ეზოტერული) ჭვრეტისკენ მიდრეკილი მწერალი ქალის ყველაზე **საპრიანო** (საინტერესო) და მნიშვნელოვან ქმნილებად უნდა ჩაითვალოს „ბედი ქართლისაში“ გაგრძელებებით დაბეჭდილი თხზულება „ლოცვა“, სადაც **ადრინდელი** (ანტიკური) **იდუმლივების** (მისტერიების) რაობა არის გადმომლილი. **ადრინდელი** სამყაროსადმი და **ზეილუმლობისადმი** (მისტიკისადმი) ღრმა **პრიანი** (ინტერესი) იყო დამატებითი საფუძველი, რაც გრიგოლ რობაქიძისადმი ნინო სალიას განსაკუთრებულ დამოკიდებულებას განაპირობებ-

და. გარდაიცვალა ნინო პარიზში, ღრმა მოხუცებულობაში. მისი ფერფლი საქართველოში ჩამოიტანეს და მეუღლის გვერდით დიდუბის მიწას მიაბარეს.

**„პედი ქართლისა“.** ნამყოფი (ისტორიული), მწერლობითი (ლიტერატურული) და სამეცნიერო კრებული. BEDI KARTLISA (LE DESTIN DE LA GEORGIE). Recueil Historique, Scientifique et Litteraire Georgien.

დაარსდა პარიზში ქართველი გარდახვენილების, ცოლ-ქმარ ნინო და კალისტრატე სალიების მიერ. გამოდიოდა გამომცემლების პირადი სახსრებით და შენირულობებით, გარდამავალი ათვლითობით (პერიოდულობით), რასაც ნივთიერის (მატერიალურის) გარდა ლინგური (ტექნიკური) მიზეზებიც განაპირობებდა. მიუხედავად იმისა, რომ გამომცემლებმა მას კრებული უწოდეს, გასული საუკუნის ორმოცაანი წლების ბოლოს და ორმოცდაათიან წლებში „პედი ქართლისას“ მოამბის სახე უფრო ჰქონდა და მთლიანობამიც მისი მოამბედ მოხსენიება ბევრად უფრო მართებული იქნება. პირველი რვეული გამოვიდა 1948 წლის მკათაში (ივლისში) და მაშინვე საყოველთაო ყურადღება მიიღო. ნინო სალია მოამბის გამოცემის ექვსი წლის თავზე წერდა: „ექვსი წლის ნინათ 1948 წლის მარტში ვინახულე ის თანამემამულენი, ვისიც იმედი მქონდა, კეთილი საქმისათვის დახმარებას არ დაიშურებდენ. მაშინ ემიგრაციაში არც ერთი ქართული უურნალი არ გამოდიოდა. ვისაც კი მივმართე, ყველანი თბილი გულით შეხვდენ არაპოლიტიკური, ისტორიულ-ლიტერატურული მოამბის დაარსების განზრახვას (...) დედამიწის ყველა კუთხიდან, სადაც კი ქართველები ცხოვრობენ, მადლობა და გამხნევება მოგვივიდა. არ დარჩენილა არც ერთი ქვეყნის უნივერსიტეტი თუ დიდი გამომცემლობა, რომელსაც – „პედი ქართლისა“ არ გამოეწეოს.“ (მოამბეში: პედი ქართლისა. 17. პარიზი 05.1954. გარეკანის მესამე გვერდი).

მოამბის ნამყოფა (ისტორია) პირობითად ორ ანათვალად (პერიოდად) შეიძლება დაიყოს. პირველ ანათვალში, 1948-56 წლებში, „პედი ქართლისა“ იყო ქართულენოვანი და მის ირგვლივ შემოკრებილი იყო გარდახვენილობაში არსებული საუკეთესო მეცნიერული და მწერლობითი (ლიტერატურული) ძალები. დაბეჭდილი დანაწერების (ტექსტების) დონე არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო თანაბარი, მაგრამ ყოველი, რაც კი მასში ღირებული გამოქვეყნდა, სამუდამოდ შევიდა ქართული შვენილობის საერთო საგანძურში. მთლიანობაში, პირველ ანათვალში მოამბე ნარმოაჩენდა ქართული გარდახვენილობის ომის შემდეგ-დროინდელი შვენილი ცხოვრების ნანდულ (რეალურ) ამსახს (სურათს), რაც დღეს საქართველოს ნამყოფის კუთვნილებაა და მომავალი კვლევის და შესწავლის საგანია. უკვე 1949 წლის მკათაში (ივლისში) მოამბის მეხუთე რვეულში გამოჩენდა ქართველი მექმის მიხეილ წერეთლის ფრანგულენოვანი წერილი. 1956 წლის ყვავილობაში (აპრილში), მოამბის 21-22-ე რვეულში ათი უცხოენოვანი მასალა იყო დაბეჭდილი: ცხრა ფრანგულ, ერთი კი ინგლისურ ენაზე. მექმთაგან (ავტორთაგან) სამი უცხოელი ქართველთმცოდნე (ქართველოლოგი) იყო, მაღალსწავლულები (პროფესორები): კარსტი, ლანგი და სტივენ-სონი. თუმცა მასის შემდეგ „პედი ქართლისა“ კარგა ხანს ძირითადად ქართულენოვანი დარჩა, 1956 წელი უნდა ჩაითვალოს მისი, პირობითად, მეორე ანათვალის დასაწყისად. სამოციანი წლებიდან მოამბე თანდათან უფრო გამოკვეთილი სამეცნიერო მიმართულება და, საბოლოოდ, სრულსასწავლო (აკადემიური) სახე მიიღო. „პედი ქართლისას“ ნამყოფი, მწერლობითი და სამეცნიერო კრებულის ნაცვლად ქართველთმცოდნებითი მოამბე B. K. revue de kartvelologie ეწოდა. მოამბეში იბეჭდებოდა მრავალფეროვანი მეცნიერული მასალა ქართველთმცოდნებითი საკითხებზე და მის მუშაობაში მონაწილეობდა



უცხოელ ქართველთმცოდნეთა და კავკასიელთმცოდნეთა მთელი ზოლფერადი (სპექტრი), ქართული გარდახვენილობის სამეცნიერო ზედაფენა (ელიტა) და აგრეთვე საბჭოთა საქართველოში მოღვაწე მეცნიერთა საკმაოდ ვრცელი წრე. ეს უკანასკნელი ნაქმი (ფაქტი) გარდახვენილობის შედარებით ახალგაზრდა მიზანგათვლითმა თაობამ მოამბის არნადელს და მის მთავარ არნადელს საბჭოთა საქართველოსთან ურთიერთობად, დათმობად და ეროვნული მიზანგათვლის გზიდან გადახვევად ჩაუთვალი და სამოცდაათიანი წლების დასაწყისში მას შეუვალად დაუბირისპირდა. დაპირისპირებულთა ნებულობები (პრეტენზიები) მათმა ერთ-ერთმა სეგობინმა (ლიდერმა) გიორგი წერეთელმა მოგვიანებით მკაფიოდ ჩამოაყალიბა წერილში „კალისტრატე სალიას გარდაცვალების გამო“ (მოამბეში: გუშაგი. 11. პარიზი 10.1986. გვ. 69-76). იმდენად დიდი ყოფილა ორ ბანაკს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება, რომ სრულიად მოულოდნელად, დარღვეულია დაუნერელი დამწესი (კანონი): „გარდაცვლილს გამოსათხოვანში“ (ნეკროლოგში) მხოლოდ კარგად ახსენებებ“ და თუმცა კალისტრატე სალიას ნარსული დამსახურებებიც არის ჩამოთვლილი, საბოლოო ჯამში, მისი ფერგვანი (პორტრეტი) მეტად უარყოფით შუქმია ნარმოდენილი. არნადელის განსჯაზე (კრიტიკაზე) არანაკლებ მძაფრად უღერდა თვით მოამბის გურ-

**დივის** (პოზიციის) **განსჯა** (კრიტიკა). ყოფდა რა „ბედი ქართლისას“ მიერ განვლილ გზას ორ **ანათვალად**, **მექმი** მიიჩნევდა, რომ ქართულენოვან **ანათვალში** გამოსული რვეულები ეროვნული **შვენილობის** საგანძურს წარმოადგენდნენ. ხოლო მეორე, უცხოენოვანი **ანათვალის** რვეულების ნაკლად კავკასიელი ხალხების ენის და **შვენილობის** თანამედროვე ბედის აუსახვობას თვლიდა და ამ მოვლენას საბჭოთა რუსეთის **დამპყრობლობის** (იმპერიალიზმის) წინაშე **მოამბის** გამომცემლის და მისი მეცნიერი თანამშრომლების ქედის მოხრას უწოდებდა. მთლიანობაში, **მექმი** „ბედი ქართლისას“ მიმართულების და სამოქმედო **დანასახის** (პროგრამის) მიმართ აშკარად უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებდა, რადგან, მისი აზრით, **მოამბის** ფურცლებზე ძველი ქართული **მილნეულობის** (ცივილიზაციის) კვლევა ანინდელ ეროვნულ ნებულობებზე უარის თქმა იყო: „ჩვენი ეროვნული ასიმილაციის მოსურნენი კიდევაც დაგვეხმარებოდნენ ვქექოთ და ვჩერიკოთ ჩვენი დამარხული ქართული ცივილიზაცია, თუ კი დაგთანხმდებოდით ხელი აგველო დლევანდელ და ხევალინდელ ეროვნულ პრეტენზიებზე. ასეთი დათმობა, ამაზე დათანხმება ყოვლად დაუშვებელია. ქართველი კაცის მოვანეობა უნდა სულდგმულობდეს იმ შეგნებით, რომ ქართველ ხალხს წარსულში შეუქმნია ღირსეული ცივილიზაცია, მას ხან გაუმარჯვნია, ხან დამარცხებულა, მაგრამ არასოდეს არ შერიგებია სიკვდილს, გადაშენებას, მკვდარ, დამარხულ ცივილიზაციად ქცევას, რომ აწმეობიც ის ჯანღონით სავსე ჭაბუკია, რომელიც ხარობს, იბრძვის და იღწვის, რათა ქართული ცივილიზაცია მომავალში კიდევ უფრო თავისთავადი, კიდევ უფრო სრულყოფილი და კიდევ უფრო სხივოსანი იყოს, ვიდრე ის ოდესმე ყოფილა..“

თუ კი **მოამბის** მთავარ **არნადელთან** დაპირისპირებას კიდევ ჰქონდა გარკვეული საფუძველი, თვითონ **მოამბის** ამგვარი **განსჯა** ყოვლად გაუგებარია და

**ნაქმობრივად** (ფაქტობრივად) იმ დიდი ლვანლის წყალში გადაყრას ნიშნავს, რომელიც „ბედი ქართლისას“ ქართული **შვენილობის** კვლევის საქმეში მიუძღვის. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მიმართულება: ძველი ქართული **მილნეულობის** სხვა **მილნეულობებთან** (ცივილიზაციებთან) კავშირში კვლევა, საქართველოს, ქართველთა მოდგმის ფესვების, ძირების წარმოჩენა და მათი განვითარებაში ჩვენება, უძველესი ქართული ენის, **შვენილობის** საკვანძო საკითხების შესწავლა და გაშუქება „ბედი ქართლისას“ დაუსახეს არა კალისტრატე და ნინო სალიებმა, არამედ მიხეილ წერეთელმა და გრიგოლ რობაქიძემ, **მოამბეში** გამოქვეყნებული თავიანთი წარუვალი ღირებულების მქონე თხზულებებით: „ქართული ენის ნათესაობის საკითხი“ და „საუბარი კარდუსთან“. ერთგვარი ნიშანი **მოამბის** მუშაობაში ევროპელ და საქართველოში მოღვაწე მეცნიერთა ჩასაბმელად, ჩემის აზრით, იყო 1955 წლის 16-17 ყვავილობას (აპრილს) მიუნჩენში „ქართული პოლიტიკურ-კულტურული კავშირის“ დაარსება, რომლის ხელმძღვანელთა შორის სხვებთან ერთად გრიგოლ რობაქიძე, მიხეილ წერეთელი და კალისტრატე სალიაც იყვნენ. ამ კავშირის თავმჯდომარის გიორგი მაღალაშვილის მიერ ხელმოწერილ განცხადებაში, რომელიც იმავე წლის მინიჭობაში (სექტემბერში) „ბედი ქართლისაში“ (№20) დაიბეჭდა, **მიზანგათვლითი** მიმართულების გვერდით, რაც საქართველოს დამოუკიდებლობის უფლებაში მიუქმნია და კართველთა მოგებით არა იქნა მსოფლიმებისთვის სრულიად ნათელი იყო, რომ ვერავითარი „თავისთავადი“, „სრულყოფილი“, „სხივოსანი“ **მილნეულობა** ჩვენში მომავალში ვერ შეიქმნება, თუ ის წარსულის, „დამარხული ცივილიზაციის“ საძირკველზე არ იქნა მსოფლიმებისთვის დაყრდნობილი. ხოლო თუ შეიქმნება, ის ქართული **მილნეულობა** არ იქნება. შესაბამისად, „დამარხული ცივილიზაციის“ „ჩერეკვა“ და „ქექვა“ „დღევანდელ და ხევალინდელ ეროვნულ პრეტენზიებზე“ ხელის აღება კი არ იქნება, არამედ ამ „პრეტენზიების“ **ნამყოფ** ხარისხში აყვანა. ასეთი იყო **დასახვა** (სტრატეგია), რომელსაც „ბედი ქართლისა“ განუხრელად მისდევდა, ხოლო ამ **დასახვის** განსახორციელებლად საჭირო დაქსელვას (ტაქტიკას) **არნადი ნანდული** (რეალური) აუცილებლობის მიხედვით ცვლიდა. მეორეს მხრივ, პარიზში გამომავალი **გარდახვენითი** (ემიგრანტული) ქართული **მაცნის**

(გაზეთის) „თავისუფლების ტრიბუნის“ ირგვლივ შემოკრებილი, დაპირისპირებული თაობის ეროვნული გრძნობების და მისწრაფებების სიწრფელეში ეჭვის მისხლის შეტანაც კი შეუძლებელია. ორიდან ერთი იყო: ან მას მართლა არ ესმოდა ბოლომდე „ბედი ქართლისას“ მიზნის ჭეშმარიტი მნიშვნელობა, ან კიდევ **ნამკიდის** (კონფლიქტის) გაღრმავებას, ორივე მხრიდან, მეტნაკლებად, გარდახვენილობაში მიზანგათვლით და შვენილი უპირატესობისთვის ბრძოლა განაპირობებდა. საბოლოოდ, დაპირისპირება შეურიგებელ განხეთქილებაში გადაიზარდა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ, როდესაც კალისტრატე და ნინო სალიებმა გრიგოლ რობაქიძის ნეშტი და მიხეილ წერეთლის ნეშტი უენევიდან და მიუნხენიდან ლევილის სასაფლაოზე ერთდროულად გადმოასვენეს და მოგვიანებით საზოგადოება პარიზის წმინდა ნინოს ქართულ საყდარში (ეკლესიაში), მათი სულების მოსახსენიებელ საგლოველზე (პანაშვიდზე) მიინვიეს, შესასვლელთან მათ უკიდურესად (რადიკალურად) განწყობილი ახალგაზრდების ჯგუფი დახვდა და შეეცადა, რომ ისინი საყდარში არ შეეშვა. ამას იუნიებოდა გაზეთი „თავისუფლების ტრიბუნა“ (№ 14-15. პარიზი 12.1976): „პროფესორ მიხეილ წერეთლისა და გრიგოლ რობაქიძის ნეშტები, ამა წლის ოქტომბრის ბოლო რიცხვებიდან განისვენებენ სოფ. ლევილის ქართულ სასაფლაოზე. გადმოსვენების თაოსნობა ეკუთვნის ქალბატონ ნინო და ბ-ნ კალისტრატე სალიებს და ხარჯებიც მათ გაიღეს (...) ქალბატონ ნინო სალიას ხელმოწერით დარიგდა ცნობა, რომ კვირას, 21 წლის მეტების, პარიზის ქართულ ეკლესიაში გადახდილი იქნებოდა მიხეილ წერეთლის და გრიგოლ რობაქიძის პანაშვიდი. ამ ორი დიდებული ქართველის პანაშვიდს საპატიო მიზეზის გარეშე, ქართველი არ დააკლდებოდა, მაგრამ პოლიტიკურ გადმოხვენილთა ერთმა ნაწილმა გადაწყვიტა არ დასწრებულიყო, რადგან ცნობილი ამბების გამო, ქ-ნი და

ქ-ნი სალია დაგმობილი იყვნენ, და ასეთი მანევრით, რეაბილიტაცია მიუღებლად მიიჩნიეს. ახალგაზრდობის ერთ ჯგუფს კი უფრო რადიკალური პროტესტი გადაუწყვეტია: მისულან და შესვლა გაუძნელებიათ ცოლ-ქმარ სალიებისათვის, რათა ამრიგად გამოემულავნებინათ თავიანთი შეურიგებლობა. ზოგიერთი გულწრფელი და საქმეში ჩაუხედავი იქ დამსწრენი ასეთმა მოქცევამ გააკვირვა და საყველეური გამოთქვეს. განმარტების მიზნით ამ ახალგაზრდებმა, წერილით მიმართეს საზოგადოებას. ვიფიქრეთ, რომ პარიზის გარეთ მცხოვრებ ქართველებისთვისაც ეს წერილი საინტერესო იქნებოდა, ამიტომ გადავწყვიტეთ მისი დაბეჭდვა, მაგრამ ასოთამნებმა, ბატონმა ილია თაყაიშვილმა ის ტენდენციურად და სათვისტომოს დაშლის საშუალებად ჩათვალა და მის ანწყობაზე უარი გვითხრა. იძულებული ვიყავით დავმორჩილებოდით. არავინ იფიქროს, რომ ჩვენ ვამართლებთ ძალის გამოყენებას, პირიქით: ჩვენ სასტიკად ვგმობთ მას. მაგრამ თავისუფალ და თავისი თავისი პატივმცემელ პრესის დანიშნულება მომხდარ ამბის ინფორმაცია. ასევე დავბეჭდავდით ქალბატონ ნინო და ბატონ კალისტრატე სალიას მიერ მოწოდებულ ახსნა-განმარტებასაც.“

არავითარი „ახსნა-განმარტება“ ნინო და კალისტრატე სალიებს „თავისუფლების ტრიბუნისთვის“ არ გადაუციათ და არც იქ დაბეჭდილა მსგავსი რამ. ასე რომ, ეს შემთხვევა, დიდად სამწუხარო მოვლენად დარჩა ქართული გარდახვენილობის ნამყობაში. მიხეილ წერეთელს და გრიგოლ რობაქიძეს რომ გაეგოთ, რომ მათ საგლოველზე პარიზში მსგავს შემთხვევას ჰქონდა ადგილი, აღბათ საფლავებში გადატრიალდებოდნენ. საბოლოოდ, ამ დაპირისპირების უკიდურესი გამძაფრება, რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, მაინც გრიგოლ რობაქიძის სახელს დაუკავშირდა. როდესაც კალისტრატე სალიამ გრიგოლ რობაქიძის ნეშტი უენევიდან ლევილში გადმოასვენა, საფლავზე

დაბადების და გარდაცვალების ის ტვიფარები (თარიღები) ამოაკვეთინა, რომლებიც, მწერლის **სავინაო** (პასპორტის) მონაცემების მიხედვით, უენევის საფლავის ქვაზე იყო ამოკვეთილი: 1884-1962. გაზეთმა „თავისუფლების ტრიბუნამ“ გრიგოლის დაბადებიდან 100 წლის მოახლოებასთან დაკავშირებით, მოგვიანებით მისი დაბადების სხვა **ტვიფარი** (თარიღი), 1881, ნამოაყენა, როგორც უფრო სწორი და, რაც მთავარია, თვითონ გრიგოლის სიტყვიერი მოწმობიდან გამომდინარე. შეიქმნა **საპატივმიგებო** (საიუბილეო) არჩეონი (კომისია) და 1981 წლის ბოლოს პარიზში აღინიშნა გრიგოლ რობაქიძის დაბადების 100 წლისთვის. 29 წლის მეტერს გარდაცვლილი მწერლის სულის მოსახსენებელი **საგლოველი** გაიმართა ჯერ პარიზის წმინდა ნინოს **საყდრის ორინში** (დარბაზში), შემდეგ კი ლევილის სასაფლაოზე. 6 დეკემბერს პარიზში წმინდა ნინოს **საყდრის ორინში** შედგა მწერლის ცხოვრების და შემოქმედებისადმი მიღვინილი **მწერლობითი** (ლიტერატურული) საღამო რომელშიც მონაწილეობა მიიღეს **გარდახვენილობის** სხვადასხვა თაობის ნარმომადგენ-ლებმა. „ბედი ქართლისას“ მესვეურებს და მომხრებს, ცხადია, ამ **საპატივმიგებო** ღონისძიები მონაწილეობა არ მიუღიათ. იმავე 1981 წლის **თოვლობაში** (დეკემბერში) გამოვიდა **მაცნე** (გაზეთ) „თავისუფლების ტრიბუნის“ ოცდამეთხუთმეტე გამრიგი (ნომერი), კრებულის სახით, რომელიც თითქმის მთლიანად გრიგოლ რობაქიძის დაბადების 100 წლისთვის მიეღძღვნა. მასში დაბეჭდილია **საპრიანო**, მრავალფეროვანი მხატვრული და სხვა სახის **გამქვეყნებები** (პუბლიკაციები): ზემოაღნიშნული, გაზეთ „თავისუფლების ტრიბუნის“ **საარნადო** (სარედაქციო) განცხადება მიხეილ წერეთლის და გრიგოლ რობაქიძის ნეშტების ლევილში გადასვენების შესახებ; გიორგი წერეთლის **გამოსახოვარი** ნეკროლოგი: „კალისტრატე სალიას გარდაცვალების გამო“; ამავე ავტორის წერილი

, „ბ-ონ კალისტრატე სალიას „ქართული ლიტერატურა დასაწყისიდან ჩვენ დრომდე“ -ს შესახებ“ (მაცნეში: თავისუფლების ტრიბუნა. №23. პარიზი 11.1978.

გვ. 9-14.); საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პარიზის ორგანიზაციის რეზოლუცია (10.02.1974) და ნიკოლოზ ურუშაძის მიერ ხელმოწერილი საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წარმომადგენლების განცხადება კ. სალიას „საქართველოს ისტორიის“ შესახებ (მაცნეში: თავისუფლების ტრიბუნა. №2. პარიზი 03.1974. გვ. 2-3.); მიხეილ ქავთარაძის წერილი: „ზოგისა ბამბაც ჩხრიალებს“ (მოამბეში: ივერია. №25. პარიზი 08.1982. გვ. 18-23.); სარედაქციო შენიშვნა: „სალია, სალია?“ (მოამბეში: ივერია. №27. პარიზი 05.1984. გვ. 27.), ჩემს ხელთ არსებული ის წყაროებია, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელი გახდა დაპირისპირების ზოგადი სურათის აღდგენა. რამდენადაც ამ წყაროებიდან ირკვევა, კალისტრატე სალია მისდამი მიმართულ საყვედურებს მხოლოდ სიტყვიერად პასუხობდა. ყოველ შემთხვევაში, ამ საკითხთან დაკავშირებული სხვა რამ დანაწერი მე არ გამარინა. შესაძლოა მოამბე „ბედი ქართლისას არნადელს თვითონაც ჰქონდა განაგონი გრიგოლისგან, რომ 1884 წელი არ იყო მისი დაბადების ნამდვილი ტვიფარი, მაგრამ, რადგან ევროპაში მნერალს ამ წელს დაბადებულად იცნობდნენ სრულსიტყვარებსა (ენციკლოპედიებსა) და ცნობარებში 1884 წელია აღნიშნული), თვითონაც ამ ტვიფარს მიემხრო. ძნელი სათქმელია, ჰქონდა თუ არა ჩაფიქრებული კალისტრატე სალიას 1984 წელს გრიგოლის პატივმიგების გადახდა, მაგრამ, თუ ჰქონდა, რა თემა უნდა, მნერლის დაბადების 100 წლისთავს ის მეორედ ვერ აღნიშნავდა. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ჩატარებული პატივმიგების სხემომწყობებმა (ორგანიზატორებმა) დაასწრეს „ბედი ქართლისას“ (№47. პარიზი 1964) მიხედვით, მომაქვს მოამბის ქართულ რვეულებში გრიგოლ რობაჭიდის მიერ გამოქვეყნებული დანაწერების (ტექსტების) სრული სია:

1. საუბარი კარდუსთან. №1.
2. თანამემამულეთა მიმართ – მონოდება „ბ. ქ“-ს დახმარებისათვის. №2.
3. საუბარი კარდუსთან. ქართული შარი №2.
4. ქართველი დედის წერილი მშემი გაყვანილ შვილისადმი. №2.

5. მიხეილ წერეთელი. მოგონებათა ბარდული. №3.
  6. საუბარი კარდუსთან. მზის ხანა ქართველთა. №4.
  7. სათავენი ჩემი შემოქმედებისა. №5.
  8. სხვადასხვა. №6.
  9. იმამ შამილ. №7.
  10. ექსპრესიონიზმი. №8.
  11. უამსა ხუმრობისა. (მოგონილი და გაგონილი). №9.
  12. ენგადი. კავკასიური ნოველები. №10.
  13. ერთი მონაწერი ლეოპოლდ ციგლერისა. №10.
  14. ენგადი (დასასრული). №11.
  15. რა უნდა აგონდებოდეს ქართველს? №12.
  16. საჭირო განმარტება. №12.
  17. ორი ფოთოლი რომანიგან „დალი“. №13
  18. ინტერვიუ გრიგოლ რობაჭიდესთან. №14.
  19. დღიურითგან. №14.
  20. მიხეილ ჯავახიშვილი. ნიკო ფიროსმანი. №15.
  21. საქართველო მის მსოფლიატში. (ფრანგულ ენაზე). №16.
  22. ლამარა (მოკლე ბიოგრაფია). №17.
  23. ევგენი გეგეჭკორი (სილუეტი). №18.
  24. ისტორია ასე არ იწერება. №19.
  25. მონოდება „ბ. ქ“-ს დახმარებისათვის. №20.
  26. დიდი დედა რომანითგან „დალი“. №20.
  27. საქართველო მის მსოფლიატში. (ფრანგულ ენაზე). №21-22.
  28. ფოთლები. (კ გამსახურდია, ალ, აბაშელი, ილო მოსაშვილი). №24-25.
  29. სხვადასხვა. (ქართული ლიტერატურიდან). №28-29.
  30. ვაჟას ენგადი. (საგანგებო რვეული). №38.
  31. გალაქტიონ ტაბიდე და მისი „ქებათა ქება ნიკორწმინდას“. №39-40.
  32. „გვიანი რთველი“ გიორგი გამყრელიძისა. №39-40.
- კალისტრატე სალიას გარდაცვალების შემდეგ მოამბე „ბედი ქართლისას“ გამოცემა შეწყდა.

**რედაქტორი:** ენვერ ნიუარაძე  
**დაკაბადონება:** პაატა ქორქია  
**უწყებები –** საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის **ათვლითი** (პერიოდული) გამოცემა იბეჭდება აკადემიის სტამბაში